ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის თებერვლის 1.	№ 2 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 9. 1929 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ოაობაზე სსრკ-ისა და ა/კსფსრ მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილებების განხორციელებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ.

„ 10. საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვისათვის გასაწევი ზედამხედველობის თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

„ 11. ა/კსფსრ-ში გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ.

„ 12. სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების აღნუსხვის დამთავრების შესახებ.

„ 13. წყალთა მეურნეობის ღონისძიებათა შესახებ უღარიბესი გლეხ-მოსახლეობისათვის წყლის სარგებლობის საქმეში შეღავათების მისანიჭებლად.

„ 14. ღვინის სიმაგრისათვის სახმარი ყურძნის სპირტის ფასების შესახებ.

„ 15. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 85 №-ის დადგენილების გაუქმების თაობაზე, რომელი დადგენილებაც ეხება იმ პროფესიებს, რაც, ფიზიკური შრომის თანაბრად, მშობივრობამდე 8 კვირისა და მშობივრობის შემდეგ 8 კვირის შვებულების უფლებას იძლევა, და აგრეთვე იმ განმარტების გაუქმების თაობაზე, რომელიც შეეხება ტელეფონისტ-ქალებისათვის დედობის საფუძველზე შვებულების მიცემას.

„ 16. წვრილ სადუქნე კრედიტის სამუშაო ხელფასში გაბრის შესახებ.

„ 17. დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

9. 1929 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე სსრკ-ისა და ა/კსფსრ მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილებების განხორციელებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ში გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებული გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის.

2. გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების საქმის რწმუნებულს დაეკისროს საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი 1929 წ. გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე სსრკ-ისა და ა/კსფსრ მთავრობის მიერ გამოცემული დადგენილებების განხორციელებისათვის.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების საქმის რწმუნებულს უფლება მიეცეს:

ა) მოსთხოვოს ხოლმე ა/კსფსრ ორგანოებსა და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს იმ ცნობების წარდგენა, რაც მათ მიერ მიღებულ ღონისძიებათ და გაზაფხულის თესვის კამპანიის მსვლელობას შეეხება;

ბ) წინადადება მისცეს ხოლმე დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ თავიდან აიცილონ სასწრაფო წესით გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მიღებულ ღონისძიებათა ყველა ნაკლი და აგრეთვე მოითხოვოს ხოლმე იმ პირთა პასუხისგებაში მიცემა სისხლის სამართლისა და სადისციპლინო წესით, ვინც ამ ნაკლულოვანებათა მიზეზია;

გ) გადასწყვიტოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით, უკეთუ ესა თუ ის შემთხვევა სასწრაფოა და საქმის გადადება არ შეიძლება, გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები, და ეს შემდგომ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოახსენოს.

დ) მოაწყოს გამოკვლევა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის მიღებული ღონისძიებებისა, რისთვისაც გამოიყენოს საქართველოს სსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და აზერბაიჯანის სსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა, აგრეთვე ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის აპარატები.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულად ა/კსფსრ-ში გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნულ იქნეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ა. ნაზარეთიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. იანვრის 11. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-12-№-ში 1929 წ. იანვრის 16-ს.

დადგენილება № 89 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

10. საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვისათვის გასაწევი ზედამხედველობის თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საეტიკეტო ფასების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევის თაობაზე—1928 წ. იანვრის 11-ს თარიღით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ" 1928 წ. სექტემბრის 19-ს თარიღით გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად—(სსრკ კან. კრ. 1928 წ. 61 №-რი, მუხ. 547)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუხლი მე-2 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის მარტის 5-ს თარიღისა და მე-19 №-ის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციისა „საქონლის საეტიკეტო ფასების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ" (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-8 №-რი, მუხ. 72) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ზედამხედველობა საქონელზე დაწესებული საეტიკეტო ფასების დაცვისათვის დაეკისრება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და მის ორგანოებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში. ზედამხედველობას აქციზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასადებ საქონელზე დაწესებული საეტიკეტო ფასების დაცვისათვის განახორციელებს, ამისდა დამოუკიდებლად, არაპირდაპირი გადასახადების ინსპექცია".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. დეკემბრის 22. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-13 №-ში 1929 წ. იანვრის 17-ს.

დადგენილება № 90 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

11. ა/კსფსრ-ში გზათა სახალხო კომისარიატების ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ.

ა/კსფსრ-ში გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციისათვის თანაბარი წესის დასამყარებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაამყარონ შემდეგი წესი ა/კსფსრ-ში გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციისათვის:

1. რესპუბლიკანური საარქივო დაწესებულებათ ჩაბარდება მარტოოდენ ის მასალები, რაც შენახულ უნდა იქნეს ხანგრძლივ (10 წელიწადზე მეტი ხნით).

2. ის მასალები, რაც უნდა ინახებოდეს 10 წელიწადზე ნაკლები ხნით, დაცულ იქნება გზათა სახალხო კომისარიატის საარქივო ორგანოებში სათანადო ვადის გასვლამდე, რის შემდეგაც იგი ლიკვიდებულ უნდა იქნეს იმ წესისამებრ, რასაც დაამყარებს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული (ა/კსფსრ-ში), ა/კსფსრ-შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური საარქივო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

3. არაშესანახი საარქივო მასალების (ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული მასალის გამოკლებით) გაყიდვით მიღებული ყველა თანხისაგან შეიქმნება გზათა სახალხო კომისარიატის სპეციალური სახსარი; ეს თანხები შედის გზათა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს განკარგულებაში და იხარჯება ამ ორგანოს მიერ, კანონით სპეციალურ საუწყებო სახსართათვის დადგენილი წესისამებრ, მარტოოდენ არქივების მუშაობის დაყენების გასაუმჯობესებლად.

4. საარქივო მასალების შენახვისა, გარჩევისა, სახელმწიფო საარქივო ფონდში ჩაბარებისა და ლიკვიდაცის დაწვრილებითი წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს,—რსფსრ-ასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციისათვის არსებულ წესთან შეფარდებით,—გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული (ა/კსფსრ-ში), ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური საარქივო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

5. დადგენილება ესე არა ვრცელდება საიდუმლო ხასიათისა და პირადი შედგენილობის საქმეებზე, რაც განსაკუთრებული წესით უნდა ინახებოდეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მაგიერ **ნაზარეთიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი-სასახლე. 1928 წ. დეკემბრის 22.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-14 №-ში 1929 წ. იანვრის 18-ს

ცირკულიარი № 3 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. იანვრის 17.

12. სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების აღნუსხვის დამთავრების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ა/კსფრს შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა, სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების აღნუსხვის ჩატარების დროს, შენიშნეს არასაკმარისად სერიოზული მოპყრობა საქმისადმი როგორც ამა თუ იმ ცალკე სპეციალისტების მხრით, რომელნიც არა ცხადდებოდნენ აღნუსხვაზე ან არ ურდგენდნენ აღნუსხვის მწარმოებელ ორგანოებს ყველა საჭირო დოკუმენტს, ისე იმ საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის მხრით, სადაც ეს სპეციალისტები დაქირავებით მუშაობენ.

რათა სახალხო მეურნეობის სპეციალისტების აღნუსხვა რაც შეიძლება სრული გამოვიდეს და მასში მოჰყვეს ყველა სპეციალისტი, აგრეთვე რათა იგი თავის დროზე იქნეს დამთავრებული, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი,—სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ, სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, გზათა სახალხო კომისარიატთან, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატთან, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატთან და პროფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონალურ კარშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით, „სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სპეციალისტების აღნუსხვისათვის 1929 წ. ივლისის 25-ს თარიღითა და 426 №-ით დამტკიცებული სახელმძღვანელოს მე-12 მუხლის თანახმად,—წინადადებას აძლევს:

1. სახალხო მეურნეობის იმ სპეციალისტებს, რომელნიც აღნუსხვილ უნდა იქნენ და რომელნიც, რაიმე გარემოების გამო, აქამდე სააღნუსხვოდ არ გამოცხადებულან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოში, გამოცხადნენ სამი დღის ვადაზე აღნუსხვისათვის და წარადგინონ წერილობითი განმარტება დაგვიანებით გამოცხადებისა.

2. ყველა იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის ადმინისტრაციას, სადაც-კი დაქირავებით მუშაობენ აღნუსხვაში გასატარებელი სპეციალისტები, მოსთხოვონ ამ უკანასკნელთ დამამტკიცებელი საბუთი მათი აღნუსხვაზე ყოფნისა. იგივე მოვალეობა დაეკისრება სახლის სამოურაოთ მათ სახლებში მცხოვრებ სპეციალისტების მიმართ და აგრეთვე მილიციის ორგანოებსა და სხვა ადმინისტრატიულ ორგანოებს—მათ მიერ ვინაობის მოწმობების გაცემის დროს.

3. უკეთუ სპეციალისტები არ წარადგენენ აღნიშნულ დამამტკიცებელ საბუთს, ზემოდ დასახელებულ დაწესებულებანი, საწარმონი, მეურნეობანი და ორგანოები აცნობებენ ამას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კ-ტების სათანადო ორგანოებს.

4. ყველა იმ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებისა, საწარმოს და მეურნეობის ადმინისტრაცია, სადაც-კი დაქირავებით მუშაობენ აღნუსხვაში გასატარებელი სპეციალისტები, აგრეთვე ეს უკანასკნელნიც ამა დადგენილების დარღვევისათვის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი სისხლის სამართლის წესით.

5. ცირკულიარი ესე ძალაში შედის დღიდან მისის გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ათაბეკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს მე-15 №-ში 1929 წ. იანვრის 19-ს.

დადგენილება № 94. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

13. წყალთა მეურნეობის ღონისძიებათა შესახებ უღარიბესი გლეხმოსახლეობისათვის წყლის სარგებლობის საქმეში შეღავათების მისანიჭებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წყლის მოსარგებლეთა სხვადასხვა კატეგორიების უფლებების განსაზ-

ღვრამდე ამიერკავკასიის წყლის კოდექსის თანახმად, რომელიც ამჟამად მუშავდება, დაევალოს სოფლის საბჭოებს, წყლის ოლქებს და სამელიორაციო ამხანაგობებს შესცვალონ არსებული წყლის საადათო სამართალი იმ მხრით, რომ მაქსიმალურად დაცულ იქნეს წყლის მოსარგებლე უღარიბესი გლეხობის ინტერესები.

1. ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთების მოსარწყავად მომზადებასთან (როგორიც არის: დარიგებულ მიწებშუა და მიწებშიგნითი სარწყავი ქსელის მოწყობა), მიეკუთვნოს ადგილობრივი ბიუჯეტით გადადებულ სახსარსა და წყლის ოლქის ხარჯთაღრიცხვით გადადებულ წყლის გამოსაღების სახსარს.

2. წინადადება მიეცეს საინსტრუქციო წესით სამელიორაციო ამხანაგობათ—იზრუნონ, რათა მოწყობილ იქნეს წყლის მოსარგებლე უღარიბესი გლეხებისათვის მიცემულ მიწებზე შიგნითი სარწყავი ქსელი, რისთვისაც თავიანთ ხარჯთაღრიცხვებში უნდა შეიტანონ საჭირო თანხები.

3. მიწის ნაკვეთების მოსარწყავად მომზადებისათვის საჭირო სამუშაოს შესასრულებლად დაევალოს წყლის ოლქს, ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან და საცდელ დაწესებულებასთან შეთანხმებით, მისცეს უღარიბეს გლეხობას დროებითი სარგებლობისათვის უფასოდ საჭირო ინსტრუმენტები და სატრანსპორტო საშუალებანი.

4. დაევალოს წყლის ოლქს, მიწების მორწყვის დაწყებამდე, დაათვალიეროს მიწებშუა და მიწებშიგნითი სარწყავი ქსელი და სასწრაფო წესით შეუდგეს ყველა შეჩნეული ნაკლის შეკეთებას, უპირველეს ყოვლისა უღარიბესი გლეხების ნაკვეთებზე.

5. დაევალოს წყლის ადმინისტრაციას, რწყვის დაწყებამდე, დაათვალიეროს, ადგილობრივ აგრონომთან ერთად, მიწებშიგნითი სარწყავი ქსელი წყლის მოსარგებლე უღარიბესი გლეხების ნაკვეთებზე და მოახდინოს სათანადო განკარგულება ამ ქსელის შეკეთების შესახებ 1-ლი მუხლის თანახმად.

6. დაევალოს წყლის ოლქებს, შემოდგომის ხვნის დაწყებამდე, დაათვალიერონ უღარიბესი გლეხების კუთვნილი ნაკვეთები და უკეთუ აღმოჩნდება, რომ ამა თუ იმ ნაკვეთს უხერხული მდებარეობა აქვს წესიერად მორწყვისათვის, აღძრან ხოლმე შუამდგომლობა საადგილმამულო განყოფილებების წინაშე, რომ უწყებული ნაკვეთი შეცვლილ იქნეს სხვა ნაკვეთით, რომელსაც უკეთესი მდებარეობა აქვს, იმ პირობით-კი, რომ ეს შეცვლა დაადასტუროს ადგილობრივმა აგრონომმა და რომ, ამასთანავე, ეს აუცილებლად დაკავშირებული იყოს რაიონის მიწათმოწყობის საერთო პოლიტიკასთან.

7. უღარიბესი გლეხების მომიჯნავე ნაკვეთები დაჯგუფებულ უნდა იქნეს და მათ მიეკუთვნოს სპეციალური ჯგუფური სარწყავები; ამასთანავე უნდა დაევალოს წყლის ადმინისტრაციას—გამოჰყოს სპეციალური ჯუვარი განსაზღვრულ ვადაზე წყლის საჭირო რაოდენობის გასაცემად.

8. დაევალოს წყლის ოლქის ადმინისტრაციას, რათა, სარწყავებზე რწყვის რიგის დაწესების დროს, უზრუნველჰყოს უღარიბესი გლეხობისათვის წყლის საკმარისი ნორმა არხებში წყლის ნაკლებობის პერიოდში.

9. იქ, სადაც რწყვის პირობების მიხედვით, წყალი გაიცემა დღით და ღამითაც, დაწესებულ იქნეს ისეთი განაწილება, რომ უღარიბესთა ნაკვეთები დღისით ირწყვებოდეს.

10. უკეთუ მიწის ნაკვეთები დაჭაობდება, წყლის-საგდები ქსელი გაფუჭდება, სარწყავები დაიხრამება და სხვ., საჭირო შეკეთება უღარიბესთა ნაკვეთებზე უნდა სწარმოებდეს წყლის ოლქის სახსარით და ძალღონით.

11. დაწესებულ იქნეს სპეციალური ზედამხედველობა იმ არხებისათვის, საიდანაც წყალი უღარიბეს გლეხთა ნაკვეთებზე მიიგდება, რათა მათთვის გაცემული სრული სარწყავი ნორმა სხვა გლეხებმა არ ჩაიგდონ ხელში.

12. წყლის მოსარგებლე უღარიბეს გლეხთა კრებებზე დადგენილ იქნეს ისეთი წესი წყლის სარგებლობის თაობაზე შეტანილი საჩივრების განხილვისა, რომ ნათესის თავის დროზე მორწყვის შემაფერხებელი დაბრკოლება სულ მოკლე ვადაზე თავიდან აცილებულ იქნეს.

13. დაევალოს წყლის ოლქებს—პასუხისგებაში მისცენ წყლის მოსარგებლე უღარიბეს გლეხთათვის დადგენილი რიგის დამრღვევნი და თვალყური ადევნონ, რათა წყლის მოსარგებლე გლეხთა სხვა ჯგუფები არ არღვევდნენ უღარიბეს გლეხთათვის მიკუთვნებულ სარწყავ ნორმებს.

14. უკეთუ რწყვის პირობები დღით და ღამით თანაბარია, დადგენილ უნდა იქნეს განაწილების ისეთი წესი, რომ უღარიბეს გლეხთ მიკუთვნებული ჰქონდეთ რწყვის დროის არჩევის უფლება (დღით ან ღამით).

15. ნებადართულ იქნეს უღარიბეს გლეხთა მიწების მოსარწყავად გასაცემი წყლის სამეურნეო ნაკადის რაოდენობის შეცვლა მე-8 მუხლით დაწესებულ ფარგლებში და იმ ვარაუდით, რომ სათანადოდ შეიცვალოს სხვა მონაწილეთა მიწების სამეურნეო სარწყავი ნაკადი.

16. სარწყავი სისტემის რემონტისათვის ნატურალური ბეგარის შეფარდების დროს ღარიბი გლეხები სამუშაოდ გაიგზავნებიან მათი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებში მდებარე ნაკვეთებზე, თანაც ჩვეულებრივი სამუშაო ნორმა შეუმცირდებათ წყლის მოსარგებლეთა სხვა კატეგორიებთან შედარებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის მოადგილე **ბომბინი.**

1929 წ. ივნვრის 1. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-16 №-ში 1929 წ. იანვრის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

14. ღვინის სიმაგრისათვის სახმარი ყურძნის სპირტის ფასის შესახებ.

„ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად და შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1928 წ ივლისის 27-ს თარიღის დირექტივის შესასრულებლად — ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ა/კრფსრ-ში სახელმწიფო სამრეწველო ორგანიზაციების წარმოების ყურძნის სპირტზე, რაც ღვინის სიმაგრისათვის გამოიყენება, მაქსიმალურ-უკიდურესი ფასი 28 კაპ. რაოდენობით გრადუსზე უაქციზოდ ფრ.-ქარხანა.

2. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სასწორით შესრულებას.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4 დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის
მოადგილე **გაჯინსკი.**

სამრეწვ. და სასურს. საქონლის
სამმართველოს უფროსი **მერკუროვი.**

საადმინ.-საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი **ეგილევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-17 №-ში 1929 იანვრის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 4 ა/კ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. იანვრის 23.

15. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. თებერვლის 11-ს თარიღისა და 85 №-ის დადგენილებისა, 1927 წ. დეკემბრის 8-ს თარიღის და 108 №-ის დადგენილებისა და 1925 წ. თებერვლის 3-ს თარიღის განმარტების გაუქმების შესახებ.

სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. დეკემბრის 22-ს თარიღისა და 735 №-ის დადგენილების გამოცემის გამო, რომელი დადგენილებითაც დამტკიცებულია „იმ პროფესიების სია, რაც, ფიზიკური შრომის თანაბრად, მშობიერობამდე 8 კვირისა და მშობიერობის შემდეგ 8 კვირის შვებულების უფლებას იძლევა“,—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს: გაუქმებულ იქნეს:

1. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. თებერვლის 11-ს თარიღისა და 85 №-ის დადგენილება „იმ პროფესიების შესახებ, რაც, ფიზიკური შრომის თანაბრად, მშობიერობამდე 8 კვირისა და მშობიერობის შემდეგ 8 კვირის შვებულების უფლებას იძლევა“.

2. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. თებერვლის 3-ს განმარტება „ტელეფონისტ-ქალებისათვის დედობის საფუძველზე შვებულების მიცემის შესახებ“.

3. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. დეკემბრის 8-ს თარიღისა და 108 №-ის დადგენილება „იმ პროფესიების სიის დამატებისა და შეცვლის შესახებ, რაც, ფიზიკური შრომის თანაბრად, მშობიერობამდე 8 კვირისა და მშობიერობის შემდეგ 8 კვირისა შვებულების უფლებას იძლევა“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო
კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და
შრომის დაცვის განყოფილების გამგე **შახსუვარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-18 №-ში 1929 წ. იანვრის 25-ს.

დადგენილება № 95 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

16. წვრილი სადუქნე კრედიტის სამუშაო ხელფასში გაბრის შესახებ.

მუშათა და მოსამსახურეთათვის წვრილი სადუქნე კრედიტის გეგმაშეწონილად განხორციელებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეცეს მუშათ და მოსამსახურეთ სამუშაო ხელფასის ანგრიშში წვრილი სადუქნე კრედიტი, უკეთუ შეთანხმება მოხდება მომუშავეთა და სამეურნეო ორგანოს შორის, ვადით არა უმეტეს 2 კვირისა და ისეთი თანხის რაოდენობით, რაც ორი კვირის საშოვრის 50%-ს არ აღემატება, თუ ამ მომუშავეს ამავე დროს ხანგრძლივი კრედიტი არა აქვს მიცემული, ხოლო, თუ ასეთი კრედიტი აქვს მიცემული, წვრილი სადუქნე კრედიტი უნდა მიეცეს არა უმეტეს 30%-ს რაოდენობისა.

2. მუშათა და მოსამსახურეთა წვრილი სადუქნე კრედიტი იგულისხმება როგორც ავანსი, სამუშაო ხელფასის ანგარიშში მიღებული, და იგი გადახდევინებულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის გაცემის დროს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში დაწესებულ ფარგლებში.

3. წვრილი სადუქნე კრედიტი არ შეიძლება გამოებაროს მომუშავეს მისი ხვედრი გამოსასვლელი დახმარებიდან, კომპენსაციიდან, სპეც-ტანისამოსისათვის მისაცემი სასყიდლიდან, მისი საკუთარი ინსტრუმენტის გაცვეთისათვის მისაცემი სასყიდლიდან და სხვა სახის საკომპენსაციო სასყიდლიდან.

4. წვრილი სადუქნე კრედიტის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ მუშათა და სატრანსპორტო კოოპერატივებს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოსცეს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

6. ამა დადგენილების გამოცემისთანავე უქმდება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში ამავე საკითხზე მომქმედი ყველა დადგენილება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. იანვრის 17. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 22 №-ში 1929 წ. იანვრის 29-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 97 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

17. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. იანვრის 17. ტფილისი—სასახლე.

დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

I. ინსტიტუტის მიზნები და მათი შესრულება.

1. ინსტიტუტს მიზნად აქვს:

ა) მშენებლობის რაციონალიზაცია და ა/კსფსრ-ში მშენებლობის საქმისათვის ახალი საშენი მასალისა და ახალი მეთოდების გამოყენების დასაბუთება—საშენი მასალისა, კონსტრუქციებისა და მშენებლობის წარმოების ყველა პროცესიის ყოველმხრივი ექსპერიმენტალური შესწავლით;

ბ) მშენებლობის დარგში მომუშავეთა ფართო წრეებისათვის ინსტიტუტის მუშაობის მიღწევათა გაცნობა და მშენებლობის ტეხნიკის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის ხელისშეწყობა.

2. თავის მიზნებს ინსტიტუტი ანხორციელებს:

ა) სალაბარატორიო გამოკვლევით;

ბ) მშენებლობაში მასალისა და კონსტრუქციების ყოვლმხრივი გამოცდით და შესწავლით;

გ) საცდელ შენობათა და კონსტრუქციათა აგების წარმოებაში მონაწილეობით;

დ) დაწესებულებათა, საწარმოთა და ცალკე მშენებლობათათვის ტეხნიკური კონსულტაციით და სამშენებლო წარმოების ელემენტების მეცნიერულად დაყენებული კონტროლის წარმოებით;

ე) არსებული წესის დაცვით პერიოდული კონფერენციებისა, ყრილობებისა და თათბირების მოწყობით მშენებლობის საკითხების გამო;

ვ) წარმოების მეთოდების ადგილობრივ გამოკვლევითა და მიღებული შედეგების ანალიზებით;

ზ) სხვა სამეცნიერო-საექსპერიმენტალო დაწესებულებებთან სისტემატიური კავშირისა და კონტაქტის დაჭერით;

თ) მშენებლობის შესახებ სამეცნიერო ნაშრომებისა, კრებულებისა, წერილებისა, ბიბლიოგრაფიული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოცემით, საამისოდ არსებული კანონებისა და განკარგულებების თანახმად;

ი) პერიოდული კურსებისა, მოხსენებებისა და ლექციების მოწყობით მშენებლობის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისათვის;

კ) ინსტიტუტის მიზანთა სფეროში საუკეთესო გამოკვლევებისათვის კონკურსების მოწყობით და პრემიების გაცემით.

II. განყოფილებანი და დამხმარე დაწესებულებანი.

3. ზემოაღნიშნული მიზნების მიხედვით ინსტიტუტი განიყოფება სამეცნიერო-საკვლევო ჯგუფებად სამშენებლო ტეხნიკის ცალ-ცალკე დარგების თანახმად.

4. ინსტიტუტს უფლება აქვს, თავისი მოქმედების განსავითარებლად, ამა დებულების 1-ლ მუხლში აღინიშნული მიზნების ფარგლებში, უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ნებართვით, მოაწყოს ყოველგვარი დამხმარე საწარმო, როგორიც არის: ლაბარატორია, სახელოსნო, საცდელი ქარხანა, საცდელი შენობა და სხვა. ინსტიტუტის დამხმარე დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საცდელ-საწარმოო და საჩვენებელი ხასიათი სალაბორატორიო მიღწევათა შესამოწმებლად და მშენებლობის იმ კონსტრუქციებისა და მეთოდების შემოსაღებად, რაც შეფარდებულ და გავრცელებულ უნდა იქნეს პრაქტიკულ მშენებლობაში. საშენი მასალის წარმოებისა და გამოყენების მეთოდიკა, მისი ტეხნიკური და ეკონომიური მიზანშეწონილობის საცდელ-საჩვენებელ მასშტაბით გამორკვევის შემდეგ, უნდა გადაეცეს მრეწველობის სათანადო დარგებს.

III. ინსტიტუტის მმართველობა.

5. ინსტიტუტის სათავეში სდგას ინსტიტუტის კოლეგია და ბიურო.

6. ინსტიტუტის ბიუროს შეადგენენ: თავმჯდომარე, რომელიც დირექტორია ინსტიტუტისა, თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც მოადგილეა დირექტორისა, და მსწავლული მდივანი.

7. კოლეგიას შეადგენენ: დირექტორი, მისი მოადგილე, სამეცნიერო-საკვლევო ჯგუფების ხელმძღვანელნი და დიდი მშენებელი ორგანიზაციებისა და სამშენებლო მრეწველობის წარმომადგენელნი.

8. დირექტორსა და მის მოადგილეს დანიშნავს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო, სრულიად საკავშირო ნაგებობათა ინსტიტუტის დირექციასთან შეთანხმებით.

9. კოლეგიის შედგენილობას დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო დირექტორის წარდგენით; ამასთანავე, ეს უკანასკნელი და მისი მოადგილე არიან ინსტიტუტის კოლეგიის თავმჯდომარედ და თავმჯდომარის მოადგილედ.

10. ინსტიტუტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) ინსტიტუტის სამეცნიერო-სატეხნიკო მოღვაწეობის საერთო ხელმძღვანელობა და ცალკე ჯგუფების მუშაობის შეთანხმება;

ბ) ინსტიტუტის წლიური პროგრამებისა და სამეცნიერო ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

გ) ბიუროს მიერ შეტანილი საკითხების განხილვა;

დ) ინსტიტუტის როგორც სახელმწიფო ბიუჯეტისა, ისე სპეციალურ სახსართა ხარჯთაღრიცხვებისა და საფინანსო ანგარიშების განხილვა ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარსადგენად;

ე) იმ ინსტრუქციების შედგენა და განხილვა, რაც ინსტიტუტის ქვემდებარე დაწესებულებათა ტეხნიკურ მოქმედებას განსაზღვრავს;

ვ) ინსტიტუტის სახელით გამოსაქვეყნებელ ნაშრომთა დამტკიცება;

ზ) ყველა იმ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, რასაც კავშირი აქვს ინსტიტუტის მიერ სამუშაოთა მიღებასა და ხელშეკრულებების დადებისათვის ნებართვის გაცემასთან.

11. საქმე კოლეგიაში გადასწყდება ხმათა უმეტესობით; უკეთუ ხმები თანასწორ გაიყო,—თავმჯდომარის ხმა გადასძლევს.

12. ბიურო კოლეგიის აღმასრულებელი ორგანოა.

ბიუროს თავჯდომარის (ინსტიტუტის დირექტორის) მოვალეობას შეადგენს:

ა) მეთვალყურება გაუწიოს ინსტიტუტის ყველა მუშაობას და მეცადინეობას;

ბ) მიიღოს და დაითხოვოს თანამშრომელნი—ყველა არსებული წესებისა და კანონდებულების დაცვით;

გ) ზედამხედველობა გაუწიოს ინსტიტუტის სახსართა წესიერად შემოსვლასა და ხარჯვას;

დ) დაამყაროს კავშირი ინსტიტუტის საქმეების გამო ყველა სახელმწიფო დაწესებულებასთან და საწარმოსთან;

ვ) დასდოს ინსტიტუტის მიზნების შესაფერი ყოველგვარი ხელშეკრულება ანგარიშის ნაღდად გასწორების ან კრედიტის სახით, რისთვისაც დაცულ უნდა იქნეს არსებული კანონდებულებანი;

ვ) გახსნას ინსტიტუტის სახელზე საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშები და ხელი მოაწეროს ამ ანგარიშების ჩეკებს;

ზ) ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში ინსტიტუტის სახელით გარეშე განსაკუთრებული რწმუნებულობისა;

თ) გასწიოს წარმომადგენლობა ინსტიტუტის სახელით ყველა დაწესებულებასა და საწარმოში;

ი) გასცეს რწმუნებულობანი მთლად თავისი უფლებამოსილობის ფარგალში ან ნაწილობრივ.

13. ბიუროს თავმჯდომარის ავადმყოფობისა ან სხვაგან ყოფნის გამო მის მოვალეობას შეასრულებს მოადგილე.

14. ინსტიტუტის კოლეგია სადმინისტრაციო-სამეურნეო სფეროში პასუხისმგებელია ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წინაშე; სამეცნიერო-სატეხნიკო სფეროში იგი იხელმძღვანელებს სრულიად საკავშირო სამოქალაქო, საინჟენერო და სამრეწველო ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტივებს.

IV. ხელისშემწყობი საბჭო.

15. სამეურნეო და სამეცნიერო ორგანოებსა და დაწესებულებებსა და ინსტიტუტს შორის კავშირის გასაძლიერებლად ინსტიტუტთან შეიძლება მოეწყოს ხელისშემწყობი საბჭო.

16. ხელისშემწყობი საბჭოს შედგენილობა:

ბ) ინსტიტუტის კოლეგია;

ბ) ინსტიტუტის მუშაობით დაინტერესებული სამეურნეო და სამეცნიერო ორგანოებისა და დაწესებულებების უფლებამოსილი წარმომადგენელნი—ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

17. ხელისშემწყობი საბჭოს მიზნას შეადგენს:

ა) განიხილოს ინსტიტუტის სამუშაოთა გეგმები სამეურნეო ორგანოების შეკვეთით და აგრეთვე მოისმინოს ინსტიტუტის ანგარიშები ამ გეგმების შესრულების შესახებ;

ბ) განიხილოს გენერალური და კერძო ხელშეკრულებანი ინსტიტუტის მიერ მშენებელ ორგანიზაციათათვის და სამშენებლო მრეწველობის საწარმოთათვის მომსახურების გაწევის შესახებ და მათთვის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ახალი მასალის გამოყენების მეთოდებისა, სამშენებლო წარმოების მეთოდებისა და საცდელი კონსტრუქციების გადაცემის შესახებ.

V. სატეხნიკო თათბირი.

18) ინსტიტუტთან შეიძლება მოწვეულ იქნეს სატეხნიკო თათბირები, რომელთა მიზანსაც შეადგენს:

ა) განიხილოს რომელიმე ცალკე სამეცნიერო-სატეხნიკო საკითხი, რასაც აღძრავს ინსტიტუტი, მშენებელი ორგანო და სამშენებლო მრეწველობა;

ბ) შეათანხმოს ინსტიტუტის სამუშაოები სხვა საცდელ და საკვლევ ლაბარატორიებთან და სისწორით განსაზღვროს მათ შორის ეს სამუშაოები;

გ) გააცნოს ტეხნიკურ წრეებს ახალი მიღწევანი ინსტიტუტის მუშაობის სფეროში;

19. სატეხნიკო თათბრების შედგენილობას განსაზღვრავს ინსტიტუტის კოლეგია; თათბირებში შედიან:

ა) მეცნიერების დარგში მომუშავენი ინსტიტუტისა;

ბ) ინსიტუტის მუშაობით დაინტერესებულ დაწესებულებათა და საწარმოთა ტეხნიკური პერსონალი;

გ) ლაბაროტრიებისა, საკონსტრუქტორო და საპროექტო ბიუროების მომუშავენი;

დ) სპეცილურად მოწვეულნი ავტორიტეტის მქონე მეცნიერი მომუშავენი.

20. სატეხნიკო საბჭოს თავჯდომარედ არის ინსტიტუტის ბიუროს თავჯდომარე ან—მისი დანიშვნით—სხვა ვინმე პირი ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის მეცნიერების დარგში მომუშავეთგან.

IV. ინსტიტუტის უფლებანი.

21. ინსტიტუტს უფლება აქვს—უშუალო ურთიერთი მიმართვა იქონიოს ა/კსფსრ ყველა დაწესებულებასთან, სსრკ-ის სახალხო კომისარიატებისა, ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ეკონომიური თათბირების გამოკლებით, რომლებთანაც ურთიერთი მიმართვა სწარმოებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მეშვეობით.

22. ინსტიტუტს, არსებული წესისამებრ, შეუძლიან მოიპოვოს უფლება—მიიღოს ხოლმე უბაჟოდ უცხოეთიდან მისი საკვლევო მოღვაწეობისათვის საჭირო საგნები და მასალები.

23. ინსტიტუტს შეუძლიან, არსებული წესისამებრ, მიიღოს უფლება— ჰგზავნოს ხოლმე უფასოდ ფოსტით უფასო ამანათები წონით 16 კილოგრ. და ბანდეროლები ნაბეჭდ ნაწარმოებებით.

24. ინსტიტუტს უფლება აქვს მოაწყოს ყოველგვარი სამოქალაქო, სამრეწველო და საინჟენერო მშენებლობის საკითხებისათვის დროებითი კურსები, მოიწვიოს ყრილობები, საამისოდ მომქმედი კანონებისა და განკარგულებების დაცვით.

25. ინსტიტუტს უფლება აქვს დასდოს ყოველგვარი გარიგება მესამე პირებთან და იკისროს ვალდებულება, სათანადო კანონებისა და განკარგულებების დაცვით; ამასთანავე, ინსტიტუტი პასუხისმგებელია თავისი ვალდებულებისათვის მარტოოდენ სპეციალური სახსარით შექმნილი ქონების ფარგლებში.

26. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებით დაბეგვრის სფეროში ინსტიტუტს აქვს ყველა ის უფლება, რაც კანონით სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებს ეკუთვნის.

27. ინსტიტუტს აქვს ბეჭედი ინსტიტუტის ემბლემის გამოსახულებით, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო, და შემდეგი წარწერით: „ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო. ამიერკავკასიის ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი:

VII. ინსტიტუტის სახსარი.

28. ინსტიტუტის სახსარი შესდგება:

ა) იმ კრედიტებისაგან, რასაც ინსტიტუტი მიიღებს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წლიური ხარჯთაღრიცხვით სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

ბ) იმ სპეციალური სახსარისაგან, რასაც ინსტიტუტი მიიღებს თავისი მოღვაწეობის განსავითარებლად ამა დებულების 1-მუხლში აღნიშნული მიზნების ფარგლებში და რაც მიქცეულ იქნება მისი სამეცნიერო-სატეხნიკო მოღვაწეობის გაფართოებისათვის.

29. სპეციალურ სახსარს ინსტიტუტი მიიღებს:

ა) ინსტიტუტის დაწესებულებათა საცდელ-საწარმოო მუშაობით მიღებული პროდუქტების რეალიზაციით.

ბ) ინსტიტუტის მიერ განცხადებული გამოგონებათა პატენტების გაყიდვით და გამოყენებით მიღებული შემოსავლის სახით;

გ) სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გადადებული დახმარების სახით;

დ) ინსტიტუტის მიერ სამეურნეო ორგანოებისათვის შესრულებული სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოებისა, კონსულტაციებისა, წარმოების დაყენებისა, ანალიზებისა, ექსპერტიზებისა, საპროექტო სამუშაოებისა, სამონტაჟო სამუშაოებისა, გამოცდებისა და სხვ. სასყიდელის სახით;

ე) გამოცემათა და სხვადასხვა გამონაცდთა გაყიდვით და სხვ.

30. სპეციალური სახსარის მიღებისა, შენახვისა და დახარჯვის წესი განისაზღვრება არსებული კანონდებულებებითა და ინსტრუქციებით.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 444. დაიბეჭდა 1000.